# ქირურგიის #1 დეპარტამენტი

პროფესორი ნოდარ ლომიძე

დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი

ლალი ახმეტელი

ასოცირებული პროფესორი

დავით მაღალაშვილი

ასოცირებული პროფესორი

გია დათუაშვილი

ასისტენტ–პროფესორი

ბესარიონ ირემაშვილი

ასისტენტ–პროფესორი

თეიმურაზ ივანიშვილი

ასისტენტ–პროფესორი

ლიანა საგინაშვილი

ასისტენტ–პროფესორი

მამუკა გურგენიძე

სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ასოც. პროფ. ლალი ახმეტელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. ნოდარ ლომიძე, ასოც. პროფ. დავით მაღალაშვილი, ასოც. პროფ. გია დათუაშვილი;
დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: დოქტორანტი ზურაბ მანიჟაშვილი, ასისტ–პროფ. ბესარიონ ირემაშვილი, ასისტ–პროფ. თეიმურაზ ივანიშვილი, ასისტ–პროფ. ლიანა საგინაშვილი, ასისტ–პროფ. მამუკა გურგენიძე.

## თსსუ ქირურგიის დეპარტამენტი N1

## თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიის დეპარტამენტი

**ქირურგიის დეპარტამენტი N.1** (ყოფილი "ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრა" - 1921-1983 და 1992-1998 წლებში; "ქირურგიულ სნეულებათა N.1 კათედრა" 1983-1992 და 1998-2006 წლებში; 2006 წლიდან - "ქირურგიულ სნეულებათა მიმართულება"; 2015 წლიდან – ქირურგიის N.1 დეპარტამენტი).

ქირურგიის დეპარტამენტი N.1 დაარსდა1921 წლის მაისში "ზოგადი ქირურგიის"

კათედრის ბაზაზე, რომელიც შეიქმნა 1919 წელს გრიგოლ მუხაძის მიერ. აკადემიკოსი გრ. მუხაძე კათედრას განაგებდა 1948 წლამდე. შემდგომ კათედრას ხელმძღვანელობდნენ: აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი (1950-1960 წლები), აკადემიკოსი მამია კომახიძე (1960-1980 წლები), პროფესორი ირაკლი მგალობლიშვილი (1981-1983 წლები), პროფესორი თენგიზ ახმეტელი (1983-1995 წლები). 1995 წლიდან - პროფესორი ნოდარ ლომიძე.

**კათედრის ხელმძღვანელთა შესახებ:**

**გრიგოლ მუხაძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1921-1948 წწ). საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი ხელმძღვანელი (1946-1950 წწ). საქართველოს ქირურგთა საზოგადოების პირველი თავმჯდომარე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

**კონსტანტინე ერისთავი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1950-1960 წწ); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი (1941-1950), ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი (1950-1974 წწ).

**მამია კომახიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1960-1980 წწ). საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. თარხნიშვილის სახელობის და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

**ირაკლი მგალობლიშვილი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1980-1983 წწ). სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი.

**თენგიზ ახმეტელი** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ქირურგიულ სნეულებათა N1 კათედრის გამგე (1983-1992 წწ), ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1992-1995 წწ). გრ. მუხაძის სახ. ქიურგიული საზოგადოების თავმჯდომარე (1981-2012 წწ). თსსუ-ის პროფილური (ქირურგიაში) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (1995-2006 წწ). საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების გენერალური მდივანი (1972-1981), საკავშირო საპრობლემო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1972-1980), სამედიცინო-ბიოლოგიური და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. ქირურგთა სალიცენზიო კომისიის წევრი, პროფესორთა საბჭოს წევრი, თსსუ-ის საპრობლემო კომისიის წევრი, ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

**ნოდარ ლომიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე (1995-1998 წწ), ქირურგიულ სნეულებათა N.1 კათედრის გამგე (1998-2006 წწ), ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების სრული პროფესორი (2006-2015 წწ), ქირურგიის N.1 დეპარტამენტის პროფესორი 2015 წლიდან. საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. თსსუ-ის პირველი

საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საქართველოს ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1998-2008 წწ), 2008 წლიდან – ამავე ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მედიცინის და ფარმაციის სექციის თავმჯდომარე (2004-2006 წწ). კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების (გაიდლაინების) და დაავადებათა მართვის სახ. სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის საბჭოს წევრი - 2007 წლიდან. თსსუ–ის ზოგად ქირურგიაში დარგობრივი რეზიდენტურის პროგრამის დირექტორი– 2007 წლიდან. თსსუ აკადემიური საბჭოს წევრი - 2008 წლიდან. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული პროფესიული განვითარების საბჭოს წევრი –2010 წლიდან.

კლინიკაში ჩატარდა საქართველოში პირველი სისხლის გადასხმა (1924 წ.), გაიხსნა სისხლის გადასხმის პირველი კაბინეტი (1932 წ), გაკეთდა პირველი ოპერაცია მშრალ გულზე (1961 წ), პირველად დაინერგა გეგმიური რელაპაროტომია "ელვა-შესაკრავის" ჩაკერებით და ჩანაცვლებითი პლაზმაფერეზი (1989 წ), პირველად შესრულდა ლაპაროსკოპიული ოპერაციები (1992 წ), დამუშავდა რაციონალური ანტიბიოტიკოთერაპიის არატრადიციული მეთოდები: ინტრააორტული, ენდოლიმფური, ლიმფოტროპული, ფაგოთერაპია. ინტრა- და ექსტრაკორპული დეტოქსიკაციის მეთოდები, ჩანაცვლებითი პლაზმაფერეზი (1989 წ) და სხვ.

სხვადასხვა დროს კლინიკის ბაზაზე არსებობდა დამწვრობის ცენტრი, ტეტანუსის საწინააღმდეგო ცენტრი, რეანიმაციის საპრობლემო ლაბორატორია. კლინიკას ჰქონდა ექსპერიმენტული ლაბორატორია, საკუთარი კლინიკური, ბიოქიმიური, პათომორფოლოგიური, მიკროელემენტების შემსწავლელი ლაბორატორიები, ფუნქციობდა ანგიოკარდიოგრაფიის კაბინეტი, ექსპერიმენტში დამუშავდა კორონაროგრაფიის მეთოდიკა (1959 წ.).

დაარსების დღიდან ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკა გადაიქცა ქირურგიის ახალი სპეციალობების ჩამოყალიბების კერად. საფუძველი ჩაეყარა ქირურგიის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა უროლოგია, ნეიროქირურგია, ანესთეზიოლოგია, ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი.

ამჟამად ქირურგიის N.1 დეპარტამენტში ქირურგიულ სნეულებებს, შესაბამისი სასწავლო პროგრამებით, შეისწავლიან მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის ქართული, ინგლისური და რუსული სექტორის სტუდენტები, ზოგადი ქირურგიის რეზიდენტები. დეპარტამენტში სრულდება სადოქტორო კვლევა (დოქტორანტი - ზ. მანიჟაშვილი).

კლინიკა მონაწილეობს დიპლომისშემდგომი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამაში. კლინიკაში მომზადდა და რამდენიმეჯერ ჩატარდა სემინარი თემაზე: "პანკრეონეკროზი – დიაგნოსტიკა და მკურნალობა".

ინტენსიური პედაგოგიური და სამკურნალო მუშაობის პარალელურად კათედრის დაარსების დღიდან კლინიკაში ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა. სხვადასხვა პერიოდში შეისწავლებოდა სისხლის გადასხმის, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის, ძვალ-სახსართა ტუბერკულოზის, უროლოგიის, ანესთეზიოლოგიის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საკითხები.

კლინიკის სამკურნალო და სამეცნიერო ინტერესების ცენტრში არის პერიტონიტის,

ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის, ჰერნიოლოგიის, ენდემური ჩიყვის პრობლემა, მრავალმხრივ შეისწავლება და დიდი ადგილი ეთმობა ონკოლოგიის საკითხებს. ძირითადი დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სამეცნიერო საკითხები, რომელზეც დეპარტამენტი დღესაც აგრძელებს მუშაობას, არის გულმკერდის ღრუს (ოპერაციები გულმკერდის კედელზე, ფილტვებზე, საყლაპავზე, დიაფრაგმაზე), მუცლის ღრუს ქირურგია (ღვიძლის რეზექცია, სანაღვლე გზების რეკონსტრუქცია, პანკრეატოდუოდენური რეზექცია, კუჭის, წვრილი, მსხვილი და სწორი ნაწლავის რეკონსტრუქციული ოპერაციები, გიგანტური ვენტრალური თიაქრების დროს თიაქარპლასტიკები-დაუჭიმავი და მუცლის კედლის რეკონსტრუქციის მეთოდებით) და ქირურგიული ინფექციები (ჩარევები ღია წესით, ასევე კანგავლითი ტრანსთორაკალური, ტრანსაბდომინური და რეტროპერიტონული მოცულობითი წარმონაქმნების პუნქცია, დრენირება, სანაცია, ბიოფსია ექოსკოპური და კომპიუტერული ტომოგრაფის კონტროლით). ფართოდ არის დანერგილი ოპერაციები მუცლის ღრუს ორგანოებზე ლაპაროსკოპული მეთოდით. ასევე დიაგნოსტიკური და სამკურნალო ენდოსკოპური მანიპულაციები (ბრონქოსკოპია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კოლონოსკოპია, რექტოსკოპია, რეტროგრადული პაპილოსფინქტეროტომია).

კათედრის თანამშრომლები მონაწილეობენ სამამულო და საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში. მათ მიერ გამოქვეყნებულია ქირურგიის სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, შრომათა კრებულები, სტატიები.